დიდ იუბილეს ჩვენი ღირსეული შეხვედრა

ვამრავლოთ კომუნისტური შრომის საწარმოები და კოლექტივები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი | № 268 (13652) | პარასკევი, 25 ნოემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

გულითადი მადლობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივთა მრავალი დეპეშა და წერილი. მიღებულია აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების, მთავრობების, სახელმწიფო და პოლიტიკური ორგანიზაციების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი მისალმება.

დეპეშებისა და წერილების ავტორები მეგობრულად გვილოცავენ დღესასწაულს, მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საზღვარგარეთელი მეგობრები უსურვებენ საბჭოთა კავშირის ხალხებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის, იმპერიალიზმისა და აგრესიის ძალების წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უძღვნიან ყველა საბჭოთა მშრომელსა და ორგანიზაციას, კომუნისტურ, მუშათა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებს, მთავრობებს, საზღვარგარეთელ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს მათი სადღესასწაულო მოლოცვისათვის და საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობისადმი გამოთქმული კეთილი სურვილებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

თათბირ-სემინარი ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხებზე

24 ნოემბერს მუშაობა დაიწყო სამდღიანმა თათბირ-სემინარმა პარტიის საქალაქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნებისა და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებათა გამგეებისათვის. თათბირ-სემინარი მოიწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

თათბირ-სემინარი ეძღვნება სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიზანდასახულ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონის ამაღლების საკითხებს.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რ. ი. ფრუნძემ.

მუშაობის პირველ დღეს მოისმინეს მოხსენებანი: პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის შ. კობახიძისა — „პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების შესახებ სკკპ XXIII კონგრესის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის პრაქტიკა“, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ხარბედილისი — „პარტიული ორგანიზაციების მუშაობა სკკპ XXIII კონგრესის გადაწყვეტილებათა მიხედვით“, პარტიის ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივნის თ. მოსაშვილისა — „კადრების შერჩევა, განწილება და აღზრდა პარტიული მუშაობის გადამწყვეტი უბანია“, პარტიის ბოლნისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის კ. ლომაძისა — „პარტიის ორგანიზაციებში მიღებულია და აღზრდა კომუნისტთა ალზრდის საქმეში პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების განხორციელების ფორმები და მეთოდები“, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ზ. ჯუსოევისა — „მშრომელთა დეპუტატების ტალინური საბჭოებისადმი პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობა ამ ორგანოთა ეფექტიანობის ამაღლებისა და ბიუროკრატიზმის ფესვიანად აღმოფხვრის მიზნით“, ბორჯომის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ზ. პატარიძისა და პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივნის შ. ბრძოლიშვილისა — „მრეწველობისა და ტრანსპორტის ბოლოს მეუონეობის პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების ... XXIII ყრილობის მოთხოვნათა სულისკვეთებით“, საქართველოს კომპარტიის ... ზეთის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის ბ. ჭაბიასი — „პირველადი და საამქრო პარტიული ორგანიზაციების ... ბა“, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ა. კოპალაძისა — „ქალაქ ბათუმის პარტიულ ორგანიზაციებში მოსკოვის ორგანიზაციის ... ტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დანერგვა“.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ბ. სტურუა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ი. ლოლაშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ვ. ვასილიევი.

თათბირ-სემინარი მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

შრომითი ნობათები

◎ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში. ქარელის რაიონის ქვინტაკოცის საბჭოთა მეურნეობამ 1966 წელს მიაღწია სასახელო მაჩვენებლებს. მეურნეობაში წაყვანი დარგი მექარხლეობა. წელს უნდა მოგვეყვანა 84.000 ცენტნერი ბაჭრის ჭარხალი, ფაქტიურად გეგმას 3.000 ცენტნერით გადავჭარხეთ. ყოველი ცენტნერი ბაჭრის ჭარხლის წარმოების თვითღირებულება შესამჩნევად შემცირდა. წელს მეურნეობამ გეგმით მოგება უნდა მიიღოს 22.000 მანეთი. წინასწარი მონაცემებით მეურნეობაში მოგება 50.000 მანეთს მიაღწევს. ამ წარმატებათა შესახებ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობებს ქვინტაკოცის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბ. ბარგჯაძემ, პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ოსაძემ, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ ტ. მიქელაძემ.

◆ მახარაძე. (საკ. კორ.). მახარაძის შემფუთავი ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი პ. კვაჭანტირაძე) წარმატებით შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღება-გადამუშავების წლიური დავალება. გეგმით გათვალისწინებული 152 ტონის ნაცვლად აქ მიიღეს და გადამუშავეს 310 ტონამდე მანდარინი.

დიდძალი ციტრუსოვანთა ნაყოფი გაიგზავნა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. ნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან ქარხნის მოწინავე ადამიანები ვ. ოტმაროვი, ნ. ჯაში, მ. ხინთიბიძე, რ. მექვაბიშვილი, ნ. მურმანიძე, ე. შელუშკოვა, ნ. ხარაპიჩი და სხვები. შემფუთავი ქარხნის მუშაკები სეზონის ბოლომდე მიიღებენ და კიდევ გადამუშავებენ 310 ტონა ლიმონს, მანდარინს, ფორთოხალს.

ვადამდე, გადაჭარბებით

ქუთაისი. (საკ. კორ.). № 8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა ცხრა თვეში შეასრულა, ხოლო საერთო პროდუქციისა — ვადაზე ოცი დღით ადრე.

მკერავებმა 550 ათასი მანეთის ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია გამოუშვეს. პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებამ გეგმით გათვალისწინებულს 2,5 პროცენტით გადაამეტა და 98,5 პროცენტს მიაღწია. ფაბრიკამ 140 ათასი მანეთით მეტი მოგება მიიღო, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ათ თვეში აქ 48.500 მეტრი ქსოვილი დაზოგეს და ამ ნედლეულით დამატებით გამოუშვეს 25.000 ცალი მამაკაცისა და ბავშვის ზედაპირანგი.

წიაღის მზვერავთა წარმატება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს „საქნახშირმადნეულძიების“ ტრესტის კოლექტივმა (უფროსი ი. ნიუარაძე) ხუთწლედის პირველი წლის მესამე კვარტალის მონაცემების საფუძველზე მიიღო საბჭოთა კავშირის გეოლოგიის სამინისტროსა და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, აღსანიშნავია, რომ ტრესტის კოლექტივს ეს დროშა ხაკავშირო შეჯიბრების შედეგების მიხედვით მეორე კვარტალშიც ჰქონდა მოპოვებული.

ქართველმა წიაღის მზვერავებმა თავისი ბეჯითი შრომით მინერალური მადნის ნედლეულის ძიების დავალება ყველა სახის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს. მარგანეცის მარაგის მატების გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, სპილენძისა — 103,6 პროცენტით, ბარიტისა — 108 პროცენტით, აქატისა — 105,5 პროცენტით; ახალი ტექნიკის დანერგვით მიღებულია 10.509 მანეთი ეკონომია, თვითღირებულება შემცირებულია — 11,4 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული, 7,1 პროცენტისა, ზეგეგმითი მოგება შეადგინა 79.970 მანეთს.

ტრესტის საერთო წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მადნეულის, ახალციხის, ტყვარჩელის, ზაორის გეოლოგიურ ძაძიებო პარტიებმა. ახლა წიაღის მზვერავები დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და ენერგიული შრომით განამტკიცებენ მიღწეულ წარმატებებს.

ნ. ჯორჯაძე.

„საქნახშირმადნეულძიების“ ტრესტის განყოფილების უფროსი.

ზრდიან შრომის ტემპს

რუსთავი. (საკ. კორ.). კარგი საწარმოო მაჩვენებლებით დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავი რუსთავის ქიმიური კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი ნ. ხოფერია. პარტიული კომიტეტის მდივანი შ. ბაზერაშვილი, საკარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ს. კვესელავა). 8 ნოემბრიდან დაწყებული აქ ყოველდღიური გეგმის გადამეტებით აწარმოებენ მინერალურ სასუქებს, კაპროლაქტამს, ამონიუმის სულფატს, პერმანგანატსა და სხვა პროდუქციას.

ამ უკანასკნელ დღეებში რუსთაველ ქიმიკოსთა ნახელავი — მინერალური სასუქები და კაპროლაქტამი სპეციალური ემბლემებით გაეგზავნა როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის, უკრაინისა და რუსეთის რესპუბლიკებს.

რუსთავის ქიმიკოსებს გადაწყვეტილი აქვთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავი განსაკუთრებული წარმატებებით აღნიშნონ. ამიტომ აქ ოპერატიულად წყვეტენ ქიმიური პროდუქციის ზრდის საპრობლემო საკითხებს, მთავარ ყურადღებას აქცევენ ცალკეული საამქროების ავტომატიზაციისა და წარმოებაში პროგრამების დანერგვას.

სამი თვით ადრე

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). ლაგოდეხის ყველასა და კარაქის მთავარი ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმული ადიდი თარიღების — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წლიური გეგმა 9 თვეში გაანადგა.

გეგმით 381 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია უნდა გამოშვებულ, ფაქტიურად 401 ათასი მანეთისა გამოუშვეს. 1.500 ცენტნერის ნაცვლად 1.671 ცენტნერი ყველი დაამზადეს. ასევე გადამეტებით გაანადგეს სხვა სახის პროდუქტების დამზადების დავალებაც.

გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს ტექნოლოგმა ო. ბუწაშვილმა, მექანიკოსმა ბ. ენუქიძემ, მემანქანე გ. მელიდლაშვილმა, მუშებმა ფ. გუკასიამ, რ. ბეგიაშვილმა, ე. რამიშვილმა და ბ. გოგოლაძემ.

დავაჩქაროთ ტრაქტორების რემონტი

საგარეჯო. სახელმწიფოს საიუბილეო 50-ე წლის გაზაფხულისათვის ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მზადყოფნის მიზნით სიღნაღის რაიონის მექანიზატორებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები აიღეს და მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის მექანიზატორებს, რომ ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შეაკეთონ ტექნიკა.

სიღნაღელთა მაგალითით ბევრი რაიონის მექანიზატორები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს 20 ნოემბრის ცნობებით, ტრაქტორების რემონტის მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულების საქმეში წინ მიდიან: სიღნაღის, გორის, სიგნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, გურჯაანის, წყალტუბოს, ცხინვალის და გეგეჭკორის რაიონების მექანიზატორები. გურჯაანის რაიონში რემონტის გეგმა შესრულებულია 43,5 პროცენტით, წითელწყაროს — 48 პროცენტით, გორის — 49,1 პროცენტით, გეგეჭკორის — 54,2 პროცენტით, სიგნაღის — 60,4 პროცენტით, წყალტუბოს — 61,5 პროცენტით, ხიდნაღის — 69,4 პროცენტით, ყვარლის — 86,4 პროცენტით, ცხინვალის — 92,3 პროცენტით.

ტრაქტორების რემონტის საქმეში ჩამორჩენიან ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ქარელის, თელავის, ახმეტის, წალკის, დუშეთის, ლმანისის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების მექანიზატორები.

სამეურნეო წელი მთავრდება. რესპუბლიკაში შეკეთებულია 556 ტრაქტორი, გეგმით კი შესაკეთებელია 1.632. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, რომ ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალს დაჭილება უთუოდ დროზე შესრულდეს.

ზრდადი შრომის ტემპს

წარმატებით იბრძვიან ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესასრულებლად რესპუბლიკის ზაზარმოთა მშრომელები. მათ შორის არიან თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის კომუნისტი ელექტროშემდუღებელი ანატოლი ორლოვსკი (სურათზე მარცხნივ) და № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის ძრავის საამქროს ბოწინავე ამწყობი ზეინალი ნოდარ გვალია, რომლებიც დღიურ ნორმებს სისტემატურად 120-130 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ა. ნ. კოსიგინისა და აბდელ ჰაკიმ ამერის შეხვედრა

24 ნოემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრეზიდენტის აბდელ ჰაკიმ ამერის შეხვედრა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მუჰამედ მურად გალები.

ა. ნ. კოსიგინსა და აბდელ ჰაკიმ ამერს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. (საკ. დესი).

პარლ ვილსონმა მიიღო გ. ი. ვორონოვი

ლონდონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაური, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. ი. ვორონოვი. ჰ. ვილსონს და გ. ი. ვორონოვს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

იხილავენ მოსახლეობის პრუგლემებს

მოსკოვი, 24 ნოემბერი. (საკდესის კორ). სრულიად საკავშირო სიმპოზიუმზე, რომელიც მოსახლეობის მარქსიტულ-ლენინური თეორიის საკითხებს მიეძღვნა, ლაპარაკი მოსახლეობის შესახებ მეცნიერების ძირითად მიმართულებებზე. სიმპოზიუმი გაიხსნა დღეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა დემოგრაფიული მეცნიერების წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სავაჭრო ურთიერთობის გამო

22 ნოემბერს მოსკოვში ხელი მოწერეს ოქმს სსრ კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1967 წელს საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ. საქონლის ურთიერთმიწოდების მოცულობა 1967 წელს 1 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს და 1966 წელთან შედარებით 16 პროცენტითა და მეტით გაიზრდება.

საბჭოთა კავშირი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან აკვანინდებოდა მიიღებს დიდძალ მანქანა-მოწყობილობას, მათ შორის ლითონსაჭრელ ჩარხებს, ასევე სატრანსპორტო მოწყობილობას, კვებისა და ქიმიური მრეწველობის კომპლექტურ მოწყობილობას, კავშირგაბმულობის მოწყობილობას, ხელსაწყოებს, დიზელის მატარებლებს, საქალაქო და საქალაქთაშორისო ავტობუსებს, ვაგონებსა და გემების მოწყობილობას, აგრეთვე შეკერილ ტანსაცმელსა და ტრიკოტაჟის ნაწარმს, ქსოვილებს, ტყავის ფეხსაცმელს, მედიკამენტებს, ახალ და დაკონსერვებულ ხილ-ბოსტნეულს და სხვა საქონელს.

თავის მხრივ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა სსრ კავშირიდან მიიღებს დიდძალ სატვირთო და მსუბუქ ავტომობილებს, ტრაქტორებს, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, საგზაო-სამშენებლო მოწყობილობას, აგრეთვე ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, ქვანახშირს, შავი ლითონების ნაგლინს, ხე-ტყის მასალებს, სასუქებს, ბამბასა და სხვა საქონელს.

(საკდესი).

„ინტერგორმაშ-67“

მინსკი, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის კოლეგიამ 24 ნოემბერს განიხილა მოსკოვში ხანთო მოწყობილობის საერთაშორისო გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. გამოფენა მომავალი წლის ზაფხულში გაიხსნება გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე.

„ინტერგორმაშ-67“-ის ორგანიზატორებმა კოლეგიას მოახსენეს, რომ უცხოეთის 40 ფირმამ უკვე თანხმობა განაცხადა მოსკოვის ექსპოზიციაში მონაწილეობაზე. გამოფენისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს ინგლისის, ბელგიის, შვეიცარიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელმა რიგმა მსხვილმა ფირმებმა.

გამოფენის ხაბჭოთა პავილიონში გათვალისწინებულია შვიდი ძირითადი განყოფილება, რომლებშიც ნაჩვენები იქნება სხვადასხვა სამთომომპოვებელი და ქვანახშირის მოწყობილობა. ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს დაიკავებენ სამთო ტექნიკის მთელი კომპლექტსების მოქმედი მოდელები. (საკდესის კორ.).

სოციალისტური რეალიზმის აქტუალური პრობლემები

მოსკოვი, 22 ნოემბერი. (საკდესის კორ.). ასე ეწოდება კონფერენციას, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში გაიხსნა. ინსტიტუტთან ერთად კონფერენციას აწყობს სსრ კავშირის მწერალთა კავშირი.

შვიდ მოხსენებაში, რომლებიც დღის სხდომაზე წაიკითხეს, განხილულია სოციალისტური რეალიზმის თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი პრობლემები.

მოხსენებათა გამო დაიწყო კამათი.

კონფერენციას, რომელიც სამ დღეს გასტანს, ესწრებიან მოკავშირე რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების კრიტიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები და მწერლები.

„ინტერგორმაშ-67“

მინსკი, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის კოლეგიამ 24 ნოემბერს განიხილა მოსკოვში ხანთო მოწყობილობის საერთაშორისო გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. გამოფენა მომავალი წლის ზაფხულში გაიხსნება გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე.

„ინტერგორმაშ-67“-ის ორგანიზატორებმა კოლეგიას მოახსენეს, რომ უცხოეთის 40 ფირმამ უკვე თანხმობა განაცხადა მოსკოვის ექსპოზიციაში მონაწილეობაზე. გამოფენისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს ინგლისის, ბელგიის, შვეიცარიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელმა რიგმა მსხვილმა ფირმებმა.

გამოფენის ხაბჭოთა პავილიონში გათვალისწინებულია შვიდი ძირითადი განყოფილება, რომლებშიც ნაჩვენები იქნება სხვადასხვა სამთომომპოვებელი და ქვანახშირის მოწყობილობა. ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს დაიკავებენ სამთო ტექნიკის მთელი კომპლექტსების მოქმედი მოდელები. (საკდესის კორ.).

თბილისის საქალაქო საბჭოს სესიაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეათე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეცხრე სესია.

სესიამ განიხილა საკითხი — „ქალაქ თბილისის განვითარების და რეკონსტრუქციის 1966—1980 წლების გენერალური გეგმის ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლები დიდი მნიშვნელობის დოკუმენტად წარმოდგენილ. ამ გეგმით გათვალისწინებულია თბილისის ბევრი რაიონის რეკონსტრუქცია. შეიქმნება ახალი პროექტები, რომლებშიც შეიტანენ სხვადასხვა ტიპისა და მოცულობის სახლებს, რის შედეგადაც ქალაქი მაღალ მხატვრულ დონეზე გამხდარა. უფრო სრულად დაკმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება სოციალურ-კულტურულ დაწესებულებებზე. გაჯრობის, საზოგადებრივი კვების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებზე. გენერალურ გეგმაში დიდი ყურადღება აქვს დამობილი საქალაქო ტრანსპორტის განვითარებას, სასპორტო ბაზებისა და ნაგებობების განვითარებას.

სესიამ მოისმინა ავრეთვე საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, დეპუტატ ვ. ჩოფიკაშვილის მოხსენება, თუ როგორ სრულდება საქალაქო საბჭოს მეშვიდე ხუთიოს გადაწყვეტილება ქალაქის კეთილმოწყობაში სამრეწველო საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

განხილულ საკითხებზე სესიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

გამოცხადებულია „რეფერენდუმი“

პარიზი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ... ს მადრიდში ოფიციალურად გამოცხადეს, რომ ამა წლის 14 დეკემბერს ... ანეთში „გაიმართება „საყოველთაო ... ფერენდუმი“ კონსტიტუციური რეფორმების საკითხებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია ეგრეთ წოდებულ „ორგანულ სახელმწიფო კანონში“. ეს კანონი ... ნოემბერს დაამტკიცა ფრანკისტულმა პარლამენტმა (კორტესმა). დეკრეტი „რეფერენდუმის“ მოწყობის შესახებ, როგორც ორანს პრესის საგენტოს მადრიდელ კორესპონდენტი იუწყება, „გამოქვეყნ... „ოფიციალური სახელმწიფო ბეჭდილ ბენის“ დღევანდელ ნომერში.

ოფიციალური წყაროების მონაცემებით, „რეფერენდუმში“ მონაწილეობის უფლება აქვს 19.620.877 კაცს — 21 წელზე უფროსი ასაკის ქალებსა და მამაკაცებს.

სარეფერენდუმო „ორგანული სახელმწიფო კანონი“, კერძოდ, ითვალისწინებს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის იმ ფუნქციათა განაწილებას, რომ ლ ე ბ ა ს (სხვა სახელმწიფო თანამდებობებთან ერთად) ერთპიროვნულად ახორციელებდა 27 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გენერალი ფრანკო. ეს და მეტი რიგი სხვა „რეფორმები“, როგორც ორანს პრესის საგენტო აღნიშნავს, „რამდენადმე ცვლის რეჟიმის გარეგნულ ასპექტს, მაგრამ არ ცვლის მის არსს“.

სამი ჩემოდანი საიდუმლო დოკუმენტები

ბრაზავილი, 24 ნოემბერი. (საკდესი). კინშასის კონგოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა გუშინ აღმოაჩინეს მოიზ ჩიმბეს საიდუმლო არქივი. რომელიც მას ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირისათვის მიუბარებია ევროპაში გაქცევის წინ.

როგორც კონგოს პრესის საგენტო იუწყება. მრავალ დოკუმენტს შორის, რომელიც ამხილებენ ჩიმბეს ანტიეროვნულ საქმიანობას და მის ურთიერთობას აფრიკის რასისტულ რეჟიმებთან, არის მისი მიმოწერაც სალაზართან. ნაპოვნია ავრეთვე ჩიმბეს მიმოწერა ბელგიელ კლერენტებთან, რომელიც, როგორც ვიცით, ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო თეთრკანიან დაქირავებულთა ... ბანდა ... ალ ... ბელგიელ ... ბანდა ... ამისწინანდელი მთავრობის საწინააღმდეგო ... ბოტებისა კისანგანში.

ესკალაცია გრძელდება

ჰანოი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთ პროვინციებში უკვე მეორე კვირაა არ ცხრება საარტილერიო სროლა. ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდები რეგულარულად უშინენ არტილერიას სამი კილომეტრი სიგანის სანაპირო ზოლის მებადურთა დასახლებულ ადგილებსა და გლეხთა სოფლებს ვინლინის, ტუანგბინის პროვინციებში და ხანინის პროვინციის სამხრეთ ნაწილში. ეარია ამისა. ამერიკის ხომალდები ცეცხლს უშენენ მებადურთა ჯონკებს, ნავებს, რომლებიც თევზს იჭერენ ტონკინის ყურის წყლებში, ძალით მიმყავთ მებადურთა გემები ეკიპაჟებიანად.

ტბილისის საქალაქო საბჭოს სესიაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეათე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეცხრე სესია.

სესიამ განიხილა საკითხი — „ქალაქ თბილისის განვითარების და რეკონსტრუქციის 1966—1980 წლების გენერალური გეგმის ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლები“ დიდი მნიშვნელობის დოკუმენტად წარმოდგენილ. ამ გეგმით გათვალისწინებულია თბილისის ბევრი რაიონის რეკონსტრუქცია. შეიქმნება ახალი პროექტები, რომლებშიც შეიტანენ სხვადასხვა ტიპისა და მოცულობის სახლებს, რის შედეგადაც ქალაქი მაღალ მხატვრულ დონეზე გამხდარა. უფრო სრულად დაკმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება სოციალურ-კულტურულ დაწესებულებებზე. გაჯრობის, საზოგადებრივი კვების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებზე. გენერალურ გეგმაში დიდი ყურადღება აქვს დამობილი საქალაქო ტრანსპორტის განვითარებას, სასპორტო ბაზებისა და ნაგებობების განვითარებას.

სესიამ მოისმინა ავრეთვე საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, დეპუტატ ვ. ჩოფიკაშვილის მოხსენება, თუ როგორ სრულდება საქალაქო საბჭოს მეშვიდე ხუთიოს გადაწყვეტილება ქალაქის კეთილმოწყობაში სამრეწველო საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

განხილულ საკითხებზე სესიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

ჟურნალი „ქალი“

ჩვენს ოჯახში

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

გაუფრთხილდეთ კომუნისტის სახელს

ოდესაც ერთ-ერთმა დელეგატმა პარტიულ კონფერენციაზე „ლონკა“ ახსენა, დარბაზში ბევრ დამსწრეს სახეზე ღიმილი შეეპარა.

გვერდით მჯდომმა ხანშიშესულმა ზეინკლმა წამლაპარაკა:

— იმასაც კი ვეღარ ვახერხებ, ავუხსნა ჩემს შვილშვილს, თუ როგორი იყო კონკა, როგორ დაბობღვადა იგი თბილისის ქუჩებში. ზღაპარივით მოსაგონია...

მართლაც, მხოლოდ შორეულ მოგონებად დარჩა ძველი თბილისის დამახასიათებელი „კონკაც“ და ვიწრო ოკრობოკრო ბნელი ქუჩებიც.

გაქრა, წარსულს ჩაბარდა ძველი. სათაც გაიხედავთ — გულს ახარებს სიახლე, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, ახალმშენებლობათა ხარაჩოები, ლარივით პროსპექტები, ტრამვაის სუფთად, მკვრივად ჩაწყობილი ლანდაგები, ტროლეიბუსების ელექტროხაზები. ამ კეთილშობილურ საქმეში თავიანთი გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი სამგზავრო ტრანსპორტის მუშაკებსაც. ტრამვაისა და ტროლეიბუსს ყოველდღიურად ათასობით მგზავრი გადაჰყავს. თბილისელები ქალაქის მაცოცხლებელ არტერიას უწოდებენ ამ საამაყო ტრანსპორტსაც.

რით მოვიდნენ ტრანსპორტელები მოგრიგ პარტიულ კონფერენციაზე? როგორი იყო მათი მოღვაწეობა საანგარიშო პერიოდში? როგორ ემსახურებიან ისინი მგზავრებს? მტკიცედ სარულებენ თუ არა კომუნისტები პარტიის სახელდები მოვალეობას?

ეი საკითხები, რომლებიც წითელ ზოლად გასდევდა პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე პარტიული კომიტეტის მდივნის ნ. ტყეშელაძის სიტყვა, რიშო მოხსენებასა და დელეგატების სიტყვებს. სათქმელი ნამდვილად ბევრი ჰქონდათ.

უკანასკნელ ხანს თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს ყველა ძნელ, გადამწყვეტ უბნებზე წარგზავნილი კომუნისტები შრომის კარგ მაგალითებს იძლევიან. პარტიულ კომიტეტის, პარტბიუროების, საამქროთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ თვითეულმა მშრომელმა, კომუნისტმა გარკვევით იცოდეს ახალი ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში თავისი მოვალეობა, თავისი ადგილი. კომუნისტები მკაცრი მომთხოვნი გახდნენ როგორც საკუთარი თავისადმი, ისე ამხანაგებისადმი. ასობით მათგანი საერთო-სახალხო საქმისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს იძლევა.

კონფერენციაზე პირველი დაასახელეს და მრავალი ბრალი სიტყვა თქვეს ტრამვაის ვაგონშემკეთებელი სახელოსნოების ზეინკალზე კომუნისტ ვ. სუხიშვილზე. ის რამდენიმე წელიწადია კომუნისტური შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს. ჯერ არ ყოფილა იხეთი თვე, წელიწადი, რომ მას და მის ბრიგადას გადაჭარბებით არ შეესრულებინოთ საწარმოო დავალება. გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ხომ მუდამ სანიმუშოა. მოწინავე ზეინკალი საამქროს პარტბიუროს მდივანიც არის. აქ ყველა კომუნისტი თავდადებით შრომობს, სწავლობს, ნერგავს ახალსა და პროგრესულს.

კოლექტივის ავანგარდში არიან აგრეთვე კომუნისტები — ელექტრომექანიკოსი ე. დავიდოვი, ვატმანი შ. ჯალმაძე, მძღოლი ა. მარგალიტაძე, კონდუქტორი ვ. ეგოროვა... ვინ ჩამოთვლის მათ, ისინი აქ. ასობით არიან...

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სწორად წარმართვამ, კომუნისტთა პირადმა მაგალითებმა კარგი ნაყოფი გამოიღო: ერთიორად გამრავლდა ტრანსპორტელთა სახელოვანი შემოქმედებითი შრომის მაგალითები. 57 ბრიგადა ამჟამად ატარებს კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელს, რომლებშიც 331 მუშაა გაერთიანებული. 176 ბრიგადა იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოსაპოვებლად, ოთხასზე მეტი მუშა კომუნისტური შრომის დამკვრელია. წარმატებით ასრულებენ ტრანსპორტელები საწარმოო გეგმებს, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს.

— მაგრამ ამ მიღწევებმა არ უნდა დაგვაკმაყოფილოს, — განაცხადეს კონფერენციის მონაწილეებმა.

სწორედ ამიტომ კომუნისტები ყოველდღიურად იბრძვიან წარმოებაში სიახლის, პროგრესულის დანერგვისათვის, აქტიურად იყენებენ იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა ფორმებს თანამოსაქმეთა იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის, მგზავრთა გადაყვანის გეგმების შესრულებისათვის, რაშიც ჯერჯერობით ჩამორჩებიან.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, არიან ისეთი კომუნისტებიც, რომლებიც პარტიის საწესდებო მოვალეობას ივიწყებენ, საერთო საქმეს გვერდს უქცევენ, არაღვიძენ შრომის დისციპლინას. ზოგიერთი მათგანი თითბირებსა და კრებებზე მაღალფარდოვნადაც კი ლაპარაკობს შრომითი და საწარმოო დისციპლინის ამაღლებაზე, მაგრამ თვითონ უსაქმურობს. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის კომუნისტი ლ. ლუარსაბოვი, რომელმაც უსირცხვილოდ მიატოვა სამუშაოცა და ოჯახიც. შრომის დისციპლინას უხეშად არღვევენ აგრეთვე კომუნისტები ი. ზუბიაშვილი და კ. სეროშვილი. ეი სწორედ ასეთების წინააღმდეგ იყო მიმართული კონფერენციის მონაწილეთა კრიტიკის ცეცხლი.

როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვით გამოსულმა დელეგატებმა მოიყვანეს მრავალი ფაქტი და სამართლიანად შეაქეს ის ადამიანები, რომლებიც მგზავრებს კულტურულად ემსახურებიან, თავიანთი შრომით ადიდებენ წარმოების სახელს. ნაკლიც მრავალი აღინიშნა. ზოგიერთ საამქროში, ბრიგადაში, ვატმანებსა და კონდუქტორთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგად ის, რომ ადგილი აქვს მგზავრთა უბადლოდ გადაყვანის შემთხვევებს. ისიც ითქვა, რომ ზოგჯერ მგზავრიც არ არომევს კონდუქტორს ბილეთს, რითაც ხელს უწყობს დანაშაულს.

სახელოვან კოლექტივს არცხვენენ ისეთი წევრები, როგორიც მძღოლი ი. არუთინიანია. იგი არღვევს შრომის დისციპლინას, უხეშად ეპყრობა მგზავრებს, უკანასკნელი წლების მანძილზე ადმინისტრაციამ მას 20 სახელი დადო, რა ფასი აქვს ამდენ სახელს, ასეთ „აღმზრდელობითს მუშაობას“, თუ მას სასურველი შედეგი არ მოსდევს?!

ტრამვაის პირველი დეპოს მძღარაობის უფროსმა ე. გურეშიძემ დაასახელა წარმოებაში სიახლის დანერგვის მაგალითები. მგზავრთა უკონდუქტოროდ მომსახურებას კარგი შედეგი მოჰყვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალ ტექნიკას ახალ კომფორტაბელურ მანქანებს ხშირად არც კონდუქტორები უფრთხილდებიან და არც მგზავრები... ნაკლოვანებებია ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეშიც.

ორატორმა დააყენა საკითხი სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობათაც — განაცხადა სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსმა მ. ჩიკვაიძემ. მან ილაპარაკა იმ ამოცანებზე, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

კონფერენციაზე, რომელმაც მაღალი აქტიურობის ვითარებაში ჩაიარა, დაყენებულ მთელი რიგი პრობლემატური საკითხები, რომლებიც დროულად გადაწყვეტას მოითხოვენ. კერძოდ, ზოგიერთი საამქროს პარტიული ორგანიზაცია ცოცხალ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ზოგჯერ სამეურნეო საქმიანობით ცვლის, ღრმად არ სწავლობს წარმოების ეკონომიკის საკითხებს. ბევრი ფაქტი დასახელეს, რომლებიც მიუთითებენ კადრების მომზადებისა და მგზავრთა მომსახურების ნაკლოვანებებზე.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ბ. როდრიგესმა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხანაგებმა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორმა ვ. ვასილიევმა, პარტიის პირველი მდივანი რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. გრიგალაშვილმა.

ერთხმად მიღებულ ვრცელ გადაწყვეტილებაში ასახვა ჰპოვა დელეგატთა საქმიანმა წინადადებებმა. ახლად არჩეული პარტიული კომიტეტი შეუდგა მუშაობას კომუნისტთა განაწესის შესასრულებლად.

ა. გოცირიძე.

პარტიული ქრონიკა

ძველი გოლშევიკების ექსკურსია

ქუთაისი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი ზეიმის ფარგლებში ქუთაისში მცხოვრებ ძველ ბოლშევიკთა ექსკურსია, რომელიც ამ დღეებში მოეწყო.

ძველმა ბოლშევიკებმა ინახულეს წულუკიძისა და გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, დაწვრილებით გაეცნენ შესანიშნავი რევოლუციონერების ა. წულუკიძისა და ს. გეგეჭკორის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, იყვნენ აგრეთვე დიდ ჯიბაიშში, ცხობილი საზოგადო მოღვაწის ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში.

პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ლენინურუთის რაიკომმა გამართა საკოლმეურნეო და საწარმოთა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და სახალხო კონტროლის ჯგუფების ხელმძღვანელთა სემინარი.

მოხსენებით — „სკკპ XXIII ყრილობა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების შესახებ“ — გამოვიდა პარტიის ლენინურუთის რაიკომის პირველი მდივანი დ. საბაშვილი.

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ცალკეულ საკითხებს მიუძღვნა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ა. წილოსანის, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის დ. გოგუაძის, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ლონტის, კომკავშირის რაიკომის მდივნის რ. გუჯაბიძის და გაზეთ „კომუნისტური შრომის“ რედაქტორის თ. ლოლიძის საუბრები.

გ. მოისწრაფიშვილი.

მხარს უჭერენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა

ნიუ-იორკი. (საკ. ფსი). 22 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის სხდომაზე საფრანგეთის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და უარყო „ორი ჩინეთის“ კონცეფცია, აგრეთვე ზოგიერთი ქვეყნის ცდები „შეისწავლონ“ საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა წარმოადგენდეს ჩინელ ხალხს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხს. განხილვის მსვლელობა, რაც უკვე ოთხი დღეა გრძელდება, ცხადყოფს, რომ წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა იმათი ბანაკი, ვისაც მიაჩნია, რომ საკითხის ერთადერთი სწორი გადაჭრაა განრდევნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან ჩანკაიშელი, რომელსაც ახლა ჩინეთის წარმომადგენლის ადგილი უკავია. დიდი უთანხმოება წარმოიშვა აგრეთვე ჩანკაიშელთა რეჟიმის მომხრეთა ბანაკში. ამ სესიაზე კანადამ წამოაყენა იდეა, რომ აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ამავე დროს შეუნარჩუნონ ამ ორგანიზაციაში ადგილი ჩანკაიშელს. ასეთი წინადადება, რა თქმა უნდა, მიუღებელია. ჩანკაიშელს სურთო არა აქვს რა 700 მილიონიან ჩინელ ხალხთან, რომლის წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, მაგრამ წინადადებას, რომელიც გუშინ შეიტანა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა პოლ მარტინმა და რომელსაც მხარს უჭერს ზოგიერთი ქვეყანა, მნიშვნელოვანი ცვლილება შეაქეს დასავლეთის ქვეყნების ჯგუფის ოზობლებში.

გარდა კანადის წარმომადგენლისა, გუშინ გამოსულმა ყველა ოორატორმა, — რუმინეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ზამბიისა და ალჟირის დელეგატებმა, — მხარი დაუჭირა იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მიიღოს ადგილი, რომელიც ახლა უკანონოდ უკავია ჩანკაიშელს.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა დან�ილო ლუკიჩმა აღნიშნა, კერძოდ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობის მიღებამ ნაკლებ ეჭვი ეჭვი ... [illegible] ... ორგანიზაციის ... [illegible] ... ერების ... [illegible] ... ამერიკელ ... [illegible] ... ეჭვი ... [illegible] ... ეჭვი ... [illegible] ... ეჭვი

ნიკოლოზ ტიხონოვი და მიკოლა ბაჟანი (მარცხნივ) თბილისში, მოაწყვდს პანთეონში; სურათი გადაღებულია 1966 წლის 25 სექტემბერს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რუსთაველის პრემიის ახალი ლაურეატები

ქართული კულტურის მეგობრები

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების პირველ ლაურეატთა ოთხეულს წელს მიემატა კიდევ ორი ახალი სახელი. დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების რესპუბლიკურმა კომიტეტმა ეს საპატიო წოდებები მიანიჭა გამოჩენილ საბჭოთა პოეტებსა და ხელოვანებს, ქართული კულტურის დიდ მეგობრებს მიკოლა ბაჟანს („ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმნისათვის) და ნიკოლოზ ტიხონოვს (საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსებისათვის).

დღეს, 25 ნოემბერს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში მიკოლა ბაჟანსა და ნიკოლოზ ტიხონოვს გადაეცემათ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიები.

◇ ◇ ◇

უკვდავი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ საქვეყნოდ სახელგანთქმულ რუს პოეტს ნიკოლოზ ტიხონოვს და ასევე გამოჩენილსა და სახელოვან უკრაინელ პოეტს მიკოლა ბაჟანს. ეს გარემოება — არაქართველი მწერლებისათვის ჩვენი უმაღლესი ეროვნული პრემიის მიკუთვნება, — უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც მოძმე საბჭოთა ხალხების სულიერი ნათესაობის, მათი ურღვევი ერთიანობის, მათი კულტურული ურთიერთკავშირის განუხრელ აღმავლობას და გაღრმავებას მოასწავებს.

როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები დაწესებულია ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ამდიდრებენ და ამშვენებენ ჩვენი ეროვნული მხატვრული კულტურის მრავალსაუკუნოვან საგანძურს, ამამაღლებელ ზეგავლენას ახდენენ ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე.

გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მომწყობმა მთავრობის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ 1966 წელს საბჭოთა კულტურის ამ უდიდეს დღესასწაულთან დაკავშირებით დამატებით გაიცემოდეს რუსთაველის სახელობის პრემიები განსაკუთრებულად დიდი დამსახურებისათვის რუსთაველის უკვდავი ქმნილებისა და საერთოდ ქართული კულტურის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის საქმეში. ასეთი მაღალი დაფასების ღირსად აღიარებულ იქნა ის ხანგრძლივი, შთაგონებული შემოქმედებითი შრომა, რომელსაც დაუცხრომელი ენერგიით ეწევიან ქართველი ხალხისა და მისი კულტურის გულწრფელი მეგობრები ნიკოლოზ ტიხონოვი და მიკოლა ბაჟანი. ნ. ტიხონოვი, რომელიც მეთაურობდა რუსთაველის საიუბილეო საკავშირო კომიტეტს და ძალღონეს არ ზოგავდა ამ დღესასწაულის ფართოდ აღნიშვნისათვის მთელ ჩვენს ფაღალუწყდეს სამშობლოში, — პრემია მიენიჭა საქართველოსადმი მიძღვნილი შესანიშნავი ლირიკული ლექსებისათვის. მ. ბაჟანს კი — მის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულად თარგმნისათვის, რომელიც საუკეთესოდ არის მიჩნეული რუსთაველის გენიალური ქმნილების დღემდე შესრულებულ თარგმანთა შორის. ცხადია, ამასთანავე მხედველობაში იქნა მიღებული ის მრავალმხრივი შემოქმედებითი შრომა და ღვაწლი, რასაც საბჭოთა მწერლობის ეს გამოჩენილი ოსტატები ათეული წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ეწევიან კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო მიღწევათა გატანისათვის ფართო საკაშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

ნიკოლოზ ტიხონოვი რუსული საბჭოთა პოეზიის პირველმარსიხოვან ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის. იგი ერთ-ერთი აღიარებული ფუძემდებელია საბჭოთა პოეტური კულტურისა, ერთ-ერთი შემქმნელი და დამამკვიდრებელი იმ ძვირფასი იდეურ-შემოქმედებითი ტრადიციებისა, რომელთა საფუძველზე იზრდება და ვითარდება ახალი სამყაროს მშენებლობის პათოსით შთაგონებული ჭრაკალეროვნული საბჭოთა პოეზია.

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში, იმ დიადი ბრძოლების ქარცეცხლში გახვეული ახალგაზრდა პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკისან, სერგეი ესენინთან, ედუარდ ბაგრიცკისთან, ნიკოლოზ ასეევთან ერთად იწყებდა ახალ ეპოქას რუსული და საერთოდ საკავშირო პოეტური კულტურის ისტორიაში. უკვე მაშინ მისი ვაჟკაცური ხმა, ღრმად თავისებური პოეტური ინტონაცია, მომხიბვლელი, მაღალი მოქალაქეობრივი იდეალებით შთაგონებული სიმღერა გამმირჩეოდა მრავალასეზოვან ორკესტრში, რომელსაც შეადგენდნენ ახალი საბჭოთა ბიოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ბიოგრაფიის, ეთიკეტიკური მრწამსის, მხატვრული სტილისა და ნიჭიერების პოეტები. მაშინ ნ. ტიხონოვი განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდა ეპიური პოეტური ფორმებისადმი. მან დაამკვიდრა ოციანი წლების რუსულ პოეზიაში ბალადის ჟანრი და მისი ამდროინდელი საუკეთესო ნაწარმოებანი: „ბალადა პერეკოპზე“, „ბალადა ლურსმნებზე“, „ბალადა ლურჯ პაკეტზე“ და სხვ. სრულიად ახალსა და თავისებურ ხაზს იწყებდა და ავითარებდა ახალგაზრდა საბჭოთა პოეზიის ისტორიაში.

ამ ბალადების რევოლუციურ-რომანტიკული პათოსი განასხვავებდა სამყაროს გარდაქმნისა და განაახლებისათვის ამდიდრებული ახალი ადამიანის გმირულ სულისკვეთებას, მის უდრეკ ნებისყოფას, მის ქედუბრელობას, მომხიბვლელ ვაჟკაცობას.

პრინციპიულად ახალ მოვლენას წარმოადგენდა საბჭოთა პოეზიის განვითარებაში ნ. ტიხონოვის ლექსების წიგნი „გმირის ძიება“, რომლის ლირიკულ გმირსაც უკვე სამოქალაქო ომის ქარცეცხლიდან გამარჯვებულად გამოსული ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის ყოველდღიურობით გატაცებული ადამიანი წარმოადგენდა ომსი ნათელი მორალური სახით, მებრძოლი ჰუმანიზმით, შემოქმედებითი შემართებით, მაღალი ინტერნაციონალური შეგნებით. თავისი პოეტური ბიოგრაფიის პირველსავე ეტაპზე ტ. ტიხონოვისათვის დამახასიათებელი იყო ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ნათელი გრძნობა, მის პოეზიაში ფართო და მრავალმხრივ გამოხატულებას პოულობდა საბჭოთა ხალხების განახლებული ყოფაცხოვრების, აღმოსავლეთის ხალხთა განმთავისუფლებელი ბრძოლების თემები.

ნ. ტიხონოვის პოეტური და მოქალაქეობრივი ცხოვრების ზენიტს წარმოადგენს მისი ეშვიათად რანდდული, ჰეშმარიტად მებრძოლური მოღვაწეობა დიდი სამამულო ომის წლებში. ლენინგრადის ბლოკადის მთელ მანძილზე ნ. ტიხონოვი თავისი პოეტური შემოქმედებითაც და საბრძოლო ცხოვრებითაც განასახიერებდა სოციალისტური სამშობლოს თავდადებულად ერთგული დამცველი ხელოვანის იდეალს. მისი მოთხრობები მებრძოლი და დაუმორჩილებელი ლენინგრადის შესახებ, მისი „ამბავი 28 გვარდიელისა“ და განსაკუთრებით პოემა „კიროვი ჩვენთან არის“ სამამულო ომის წლების მთელი მრავალფეროვნული საბჭოთა ლიტერატურის დიდ მონაპოვარს შეადგენენ. მათში გულის სიღრმემდე შემძვრელ, ამაღელვებელი ძალით არის აღბეჭდილი ის სწორუპოვარი გმირობა და თავგანწირულობა, რომლითაც საბჭოთა ხალხმა უკუპაქცია და გაანადგურა მიხაკისფერი ურჩხული და ფაშისტური ბარბაროსობისაგან იხსნა მთელი საკაცობრიო ცივილიზაცია.

სამამულო ომის შემდგომ წლებში ნ. ტიხონოვი სათავეში ჩაუდგა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ბრძოლას მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. მშვიდობის მომხრეთა საბჭოთა კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მშვიდობისათვის მებრძოლთა მრავალი საერთაშორისო კონგრესისა და კონფერენციის მონაწილე, იგი უკანასკნელი წლების თავის პოეზიაშიც ფართოდ და ღრმად განასახიერებს მსოფლიოს ყოველი პატიოსანი ადამიანის სამშვიდობო მისწრაფებებს, მაღალ ინტერნაციონალისტურ შეგნებას. ამ ნათელი მისწრაფებებით არის შთაგონებული ნ. ტიხონოვის ლექსების ციკლი პაკისტანზე, ინდოეთზე, იუგოსლავიაზე, მისი დიდი ლირიკულ-პუბლიცისტური ციკლი „ორი ნაკადი“ და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ნ. ტიხონოვის პოეზიაში საქართველოს, მის ბუნებას და ხალხს, მის გმირულ წარსულს და სხვამსოლო დღეგანდელობას. შეიძლება ითქვას, რომ ლექსების ციკლი კახეთზე და „საქართველოს გაზაფხული“ მისი პოეზიისა და მთელი რუსული ახალი პოეზიის მშვენებაა.

ნ. ტიხონოვი არის ერთ-ერთი ნაკუკეთესო მთარგმნელი ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიისა რუსულ ენაზე. თუ დღეს ქართული პოეზია საყოველთაო სიყვარულითა და აღიარებით სარგებლობს მთელ ჩვენს დიად სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმაც, ამაში განუზომლად დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. ტიხონოვს, მის ეშეშარიტად გმირულ და კეთილშობილურ შემოქმედებითს შრომას. ნ. ტიხონოვი, ჩვენი დროის დიდი პოეტი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე. ქართული მწერლობის მეზნებარე ფეგობარია, თითქმის ყველა ქართველი მწერლისა და კულტურის მოღვაწის პირადი მეგობარი. იგი მხურვალედ ეხმაურება ყოველ მოვლენას ქართული მწერლობისა და ხელოვნების ცხოვრებაში. და ქართველი ხალხიც, ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციაც ასეთივე მეზნებარე სიყვარულით უპასუხებს მას. ამის საუკეთესო დადასტურებაა ნ. ტიხონოვისათვის რუსთაველის პრემიის მინიჭება. ნ. ტიხონოვის შემოქმედება და მოღვაწეობა ღირსეული გაგრძელებაა რუსული კლასიკური პოეზიის დიდებული ტრადიციებისა. ამ მხრივაც, რომ იგი განაგრძობს ქართველი ხალხისადმი წრფელი მეგობრობის იმ კეთილშობილურ ეპოქას, რომელსაც საოცარი ჩაუყარეს ჯენიალურმა რუსმა მწერლებმა ა. პუშკინმა, ა. გრიბოედოვმა, მ. ლერმონტოვმა, ლ. ტოლსტოიმ, მ. გორკიმ, ვ. მაიაკოვსკიმ.

ასეთივე წრფელი მეგობრობი და ძმური ურთიერთ სიყვარულით არის დაკავშირებული ქართველ ხალხთან, მის კულტურასა და მწერლობასთან დიდი თანამედროვე უკრაინელი პოეტი მიკოლა ბაჟანი. მის პოეტურ შემოქმედებაში და მოღვაწეობაში ახლებურად გამობრწყინდა უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა — ის დიდი ტრადიცია, რომელიც განათებულია ტარას შევჩენკოსა და დავით გურამიშვილის, მახვილ ქოცაუბინსკისა და ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ლესია უკრაინკას და სხვათა უკვდავი სახელებით. ალბათ ქართველი ხალხისა და მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურისადმი წრფელმა სიყვარულმა შთაბერა მ. ბაჟანს ძალა და შთაგონება იმ შემოქმედებითი გმირობისათვის, რომლის დიდებულ შედეგსაც წარმოადგენს მის მიერ უკრაინულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ — პოეტური თარგმანის ხელოვნების ეს იშვიათი და საუცხოო ნიმუში. მ. ბაჟანმა თავისი ბრწყინვალე თარგმანებით მშობლიური და ახლობელი გახადა მრავალმილიონიანი უკრაინელი ხალხისათვის დავით გურამიშვილის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური ქმნილება „მერანი“, ქართული კლასიკური პოეზიის სხვა მრავალი შედევრი. განსაკუთრებული სიუხვით და ჭეშმარიტი შთაგონებით თარგმნის მ. ბაჟანი უკრაინულად ქართული საბჭოთა პოეზიის ყველა მნიშვნელოვან მიღწევას. იგი არის ერთ-ერთი რედაქტორი და ინიციატორი ქართული პოეზიის ორტომიანი ანთოლოგიისა, რომელიც ახლახან გამოიცა უკრაინაში.

თავისი წრფელი სიყვარული ქართველი ხალხისადმი, მისი მრისხანე და თანაც დიდებული ისტორიისა და აღორძინებული დღევანდელობისადმი მ. ბაჟანმა გამოხატა არა ერთ შესანიშნავ ლექსში. მისი „თმოგვის გზაზე“, „ნანგრევები ქუთაისში“, „ვაჟა-ფშაველას ხსოვნას“ და სხვ. ხალხთა ძმობის, კერძოდ, უკრაინელ და ქართველ ხალხთა საუკუნოვანი მეგობრობის კეთილშობილური გრძნობით ნაკარნახევი მკაფიო პოეტური ქმნილებებია.

ნ. ტიხონოვის მსგავსად მ. ბაჟანიც მეგობრული ურთიერთობით არის დაკავშირებული ქართული მწერლობისა და ხელოვნების მრავალ თვალსაჩინო წარმომადგენლთან, ისიც მუდმივი თანაზიარი და გულმხურვალე მონაწილეა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისა. ჩვენთვის დიდად საამაყო და სასიხარულო, რომ ქართველი ხალხისა და ქართული მწერლობის ეს უცვლელად ერთგული მეგობარი არის უპირველესი ოსტატთაგანი უკრაინული მხატვრული სიტყვისა, არის სახელოვანი შვილი დიდი უკრაინელი ხალხისა, რომ იგი განუზომელი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს თავის სამშობლოში. პავლო ტიჩინასთან, მაქსიმ რილსკისთან, ვლადიმერ სოსიურასთან ერთად მ. ბაჟანი არის ფუძემდებელი უკრაინული საბჭოთა პოეზიისა და თავისი საუკეთესო ქმნილებებით იგი ამდიდრებს მრავალეროვანი საბჭოთა პოეზიის საერთო საგანძურს.

მ. ბაჟანის პირველი ნაბიჯები თავისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე სამოქალაქო ომის ეპოპეასთან არის დაკავშირებული. ძველი სამყაროს ნგრევისა და ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის პერიოდით არის ალბეჭდილი მისი ლექსების პირველი კრებული „მეჩვიდმეტე გუშაგი“. ამ კრებულის ლექსებში პოეტი განასახიერებდა საბჭოთა ხალხის შეურეგებელ გულისწყრომას კაპიტალისტურ სამყაროში მძვინვარე სოციალური ტირანიისადმი და ნათელ რწმენას ამ არაადამიანურ მანიერებებზე აგებული ყოობილების სასიკვდილო განწირულებისას. მაშინ ახალგაზრდა პოეტი მხატვრული ფორმის სფეროში წარმოებენ ბაცხოვრებულ ძიებებთან და გაბედულ ექსპერიმენტებთან ერთად იჩენდა თანმიმდევრულ მიდრეკილებას ცხოვრებისეულ მოვლენათა ფილოსოფიური გააზრებისა და განზოგადებისადმი. ამ მხრივ დამახასიათებელი იყო 30-იანი წლების დამლის დაწერილი მისი ლექსები „გოფმანის ღამე“ და „ჰამლეტის სიკვდილი“. 30-იანი წლების მის პოეზიაში მძლავრად მკვიდრდება სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის კონკრეტული თემატიკა, ახალი ყოფის ცოცხალი სინამდვილის მასალა, რაც აძლიერებს მისი შემოქმედების რეალისტურ ელფერს. მაგრამ ამ წლებშიც მ. ბაჟანის პოეზიაში მძლავრად ღვიძს რეგოლუციურ-რომანტიკული სული. ამ მხრივ პოეტის დიდი შემოქმედებითი წარმატება იყო პოემა „უკვდავება“, რომელშიც ს. კირეოვის ცხოვრებისა და ბრძოლის ეპოპეა წარმოსახული იყო როგორც განზოგადებული სურათი ჩვენი ხალხის მიერ გმირულად განვლილი საბრძოლო გზისა.

სამამულო ომის მრისხანე წლებში მ. ბაჟანი მთელ ხალხთან ერთად თავგანწირული საბრძოლო ცხოვრებით ცხოვრობდა. იგი ამ დროს დიდ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა, ფრონტული პრესის ორგანიზატორადაც გამოდიოდა და თავისი უაღრესად აქტიური შემოქმედებითი შრომითაც აწრთობდა ხალხის მებრძოლ სულსა და ნებისყოფას. ხალხი იზეპირებდა და მღერდა მომწოდებელ სიტყვებს ლექსიდან „ფიცი“. ლექსების დიდ ციკლში „სტალინგრადის რვეული“. იგი ასახავდა და ადიდებდა საბჭოთა ხალხის ლეგენდარულ გმირობას თავიანი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მ. ბაჟანის ისტორიულ-პატრიოტული პოემა „დანილო გალიცი“ სამშობლოსათვის თავგანწირულების მაგალითის აძღვენდა ფრონტისა და ზურგის მებრძოლთა მილიონებს.

მისი ლექსების წიგნი „ინგლისური შთაბეჭდილებანი“ ომის შემდგომ წლების მთელი საბჭოთა პოეზიის საუკეთესო მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. ამ წიგნის ლირიკული ვნრი მთელ მსოფლიოში მშვიდობის, პროგრესისა და ჰუმანიზმის იდეალების გამარჯვებისათვის მებრძოლი ადამიანის სულიერი სამყაროს საუკეთესო თვისებებს განასახიერებს.

ძნელი არ არის იმის დანახვა, თუ რაოდენ ენათესავებიან და ერთმანეთს ერთმანეთის თავიანთი პოეზიის თემატიკით, შემოქმედებითი მისწრაფებებით და მხატვრული ინტერესებით, თავიანთი მოქალაქეობრივი პათოსით რუსთაველის პრემიის ახალი ლაურეატები — ორი მოძმე ხალხის ორი დიდი პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი და მიკოლა ბაჟანი.

ქართველი ხალხი გულითადად მიუღია ჩვენს ძვირფას მეგობრებს ამ მაღალ ჯილდოს, უსურვებს მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ დიდ წარმატებებს თავიანთ სახელოვან შემოქმედებით მოღვაწეობაში.

ბესარიონ ჟღენტი.

ნიკოლოზ ტიხონოვი

საქართველოს

უღრუბლო ცის ლაჟვარდების
ტალღა
დასალიერს ეშხეფება ეშხით...
სხვაა ტკბილი საქართველო ახლა,
ხელს უწვდი და მზით ივსება პეშვი.

ბედმა ჩემმა აქ შემყარა ხვითოს,
აქვე ვიგრძენ გამარჯვების მადლი,
როს თვალებში ჩაიღვარა სითბოდ
გაზაფხულად მოქცეული ქართლი.

ვნახე ბრძოლა ძველისა და ახლის,
აღშენება ქალაქის თუ ქარხნის
და პირველი ნათურების შუქზე
მე განვჭრიტე მომავალი ხალხის...

და დღეს, როცა ზეიმია დიდი,
საქართველოვ, მე ვოცნებობ
შენზე —
ხარ ქცეული მეგობრობის ხიდად
და შვილივით გეხუტები მკერდზე.

შენი მზით და გამარჯვების შუქით,
შენი მთებით, შენი ლურჯი გზებით
ცისარტყელად ესახები ამ გულს...
გეხვევი და სიმღერებით გხვდები.

თარგმანი მ. ფოცხიშვილისა.

ცისარტყელა საგურამოში

ის ცისარტყელა ღრუბელთ ბორცვებზე
იდგა სულ ახლოს, გაშლილი ფრთებად,
ისე, ვით ხიდი ზღაპრულ ბოძებზე,
ძმა-მეგობრების შემაერთებლად.

ოქროსფერ-წვიმის წვეთები თბილი
ჩქეფდნენ ფოთლებზე, ანამღერები.
თვითეულ ფოთოლს ათრობდა ლხინი,
აფრქვევდა ცრემლებს ბედნიერებით.

ღრუბლებს სიამე სწვეოდათ მწველი,
მკერდით მიჰკვრდნენ მზისფერ
მწვერვალებს.
შორით არაგვი ნათელი ხელით
თითქოს უხმობდა ადამიანებს.

ბექა-ბუსილი გორს სცილდებოდა,
იქ ცა მოლურჯო ზღვასავით იწვა,
და ხოხბის ყელისფერი ხდებოდა
ჩვენს ირგვლივ სივრცე და დედამიწა.

და შუქი ცისა, შუქი ზვიადი
ცისარტყელების ფრთებს აყლერებდა...
იგი ჩვენს გულთა შორის დიადი
და მტკიცე ძმობის ხიდს აშენებდა.

თარგმანი კ. ნალირაძისა.

ფიქრები ფოთა რუსთაველზე

ფოთა რუსთაველის დიდებულმა ქმნილებამ „ვეფხისტყაოსანმა“ მოიარა მთელი მსოფლიო, გაეცნო ახლო და შორეულ ქვეყნებს, ისევე როგორც მისი გმირები. თავის სამშობლოში იგი შეუსისხლხორცდა ხალხის ცხოვრებას, მოეფინა ანდაზებად, თქმებად, ბრძნულ ფიფორიზმებად, შევიდა თვითეულ სახლში, თან ახლდა ქართველს ბავშვობაში წაკითხული პირველი ფურცლებიდან ღრმა მოხუცობამდე.

მის გმირთა სახელები ზოგად სახელებად იქცა, გასცდა ქართველოს ფარგლებს და განსაკუთრებული სიცოცხლე მპოვა, როგორც მხოლოდ მკაფიოდ გამოხატულ ხალხურ ხასიათებს სჩვევია.

მე არაერთხელ წამიკითხავს „ვეფხისტყაოსანი“.

პოემის ფურცლებიდან ყოველთვის ადვიქვამდი გმირობას, სიყვარულს, უაღრესად ფართო მეგობრობას, მესმოდა ხალხთა მეგობრობისაკენ, დამმონებელთაგან სამშობლოს დაცვისაკენ მომწოდებელი ხმა. ვხედავდი სამშობლოს უხვად დახატულ სურათებს, რომლებშიც გამოსჭვიოდა მშობლიური მიწისადმი სიყვარული...

დიახ, მე ვნახე პოეტი, რომელმაც აღმოსავლეთის აღორძინების პირველი საგალობლები თქვა.

ნიკოლოზ ტიხონოვი.

სოციალისტური კულტურის ისტორიაში ნათელ თარიღად შევა საქართველოს უკვდავი გენიოსის, მისი „ვინმე მესხი მელექსე“ რუსთაველისადმი მიძღვნილი დღეები. მთელმა საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ენერგიული მონაწილეობა მიიღო ქართველი ხალხის ზეიმში, მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ამ დიდებულ და სამაყო დღესასწაულში. დიახ, სწორედ სამაყო დღესასწაულში, ვინაიდან მას აღფრთოვანებს სამართლიანი სიამაყე თავისი ხალხისათვის, სიამაყე ყველა მოძმე ხალხისათვის, სამაყე იმ დიადი ძალისათვის, რომელსაც ღირსეულ სიმაღლეზე აჰყავს კაცობრიობის ყველა ჭეშმარიტად მშვენიერი ქმნილებანი. დედამიწაზე ერთადერთი და ყველაზე ძლიერი ახალი ძალაა ძალა კომუნისტური იდეალებისა, რომლებშიც ხორცი შეისხა ყველა საუკუნეთა და ყველა ხალხთა საუკეთესო მისწრაფებებმა.

რუსთაველის აზრებს, ოპტიმისტური ადამიანურობით რომ არის გამსჭვალული, რუსთაველის დიდებულ და ბრძნულ ტაეპებს საუკუნეთა მანძილზე სიყვარულით კითხულობდა ქართველი კაცი, მათში პოულობდა იმედის, ბრძოლაში ძალის, თავისი ხალხისათვის სიამაყის დაუშრეტელ წყაროს. საქართველოს უბადლო საუნჯე ახლა წლითიწლობით უფრო და უფრო დასაფასებელი კუთვნილებაა მთელი კაცობრიობისა.

მიკოლა ბაჟანი.

მიკოლა ბაჟანი

თმოგვის გზაზე

ნაწყვეტი

მცირე ბორცვების ფერდაკარგულ ფერდობებს
გავცდით
და თმოგვისაკენ ვიჩქარობთ ახლა წარსულზე ფიქრით;
გზა ვიწროვდება ბოწოთალო, შიშველი, მკაცრი, —
და მძაფრი სიცხით დასიცხულებს გადაგვდის ხვიოქი.

ღარტაფებს შორის აშოლტლილან კლდეები რუხი,
მკერდს დასჭდეგიათ ნაპრალების შავი გრაგნილი;
ხთას ფლატეებად ჩამოხეთქილს ჩამოსდევს შუქი,
როგორც ჩანჩქერი ალმაცერად გადმოვარდნილი.

თითქოს სპილენძი დამდნარაო თაკარა მზისგან,
ისეთი ფერი დაჰფენია დაკბილულ სივრცეს,
მივდივართ, ვალებთ სიღარიბის ეპოსის ჯიშკარს
და საუკუნე დამშეული თვალებით გვიცქერს.

დაწიბოვებულ, ნახნაგოვან სამკაულებით
ასჭარელებია ქვის გულ-მკერდი თვითეულ ქარაფს,
მაღლა კი, მთაზე, მოქათქათე თეთრი ღრუბლები
ცხვრის ფარებივით შესევიან შერჩენილ ბალახს.

მათ აქოჩრებულ ხვეულებში გიოური ქროლვის
ხმა ისმის ქართა, ხმა, რომელიც ძარღვებს მონუსხავს.
და ქედებს იქით, გოლიათურ ქანჩახებს შორის
შეჰყუდებია ცას მწვერვალი შიშველ კონუსად.

შიგ, მის წიაღში, როგორც შავად შეკრული ურანში,
კვამლივით ბრუნავს წინაპართა ძვლების ნაცარი;
ფუღუროებად დახეთქილა დროთა ბრუნვაში
ყველა დარბაზი, ყველა ციხე, ყველა ტაძარი.

თითქოს ზღაპრული ჟანგისფერი ნადირის ტყავი
წამოეხსამსო ქვის ბეჭებზე ქალაქს, ქვაცოხეს,
ისე დამფრთხალან, დაქსაქსულან მოვლეშარე მთანი
და იბერტყავენ ჩალმებივით ნისლებს ნაცრისფერს.

ძველი ტაძრების ამობზარულ, ამოჭმულ თაღებს
შავ ბორხოშელად სცვივათ დაბლა ხრეში და ხვინჭა,
აქ ყველაფერი დაუნსტრავს სიკვდილის ბაგეს,
ცოცხლები მარტო ჩვენ გავცქერით ბორიზონტს
დინჯად...

მაშ, ვაქოთ, ძმებო, ჩვენ იმ ხალხის მედგარი სული,
ვის ცხოვრებასაც ჭეშმარიტი სიცოცხლე ჰქვია,
ვინც უკვდავებას ეზიარა მგზნებარე გულით,
ვინც გადაურჩა ხანძრების და ხანჯლების ბრიალს.

საღამოვდება, ბარისაკენ სავალს მივიკვლევთ,
გავხედავ შარას ველად გასულს, ქედებში შეჭრილს,
უკან ტიტოვებს საცალფეხო კლდოვან ბილიკებს. —
და სივრცეებში გასასლელად ძალ-ღონე ერჩის.

უცბად ჩემს ფეხქვეშ, მოსახვევთან, უფსკრულის პირას
ბილიკი ვიწრო ლტოლვას შესწყვეტს, როგორც არწივი
და ჰორიზონტზე მიბნედილი შუქი რომ ბრწყინავს,
ნათელმოსილი მოგზაურის დგება აჩრდილი.

იგი შფოთიან შორეთიდან მოდის ამაყად,
საუკუნეთა წყეულ წყვდიადს იცლეს გზიდან,
რომ ყველა სახლის ფართო ჭერქვეშ, სოფლად, ქალაქად
ბრძოლით მოღლილმა მოგზაურმა იცხოვროს მშვიდად.

გაოცებული რჩება თმოგვი... კოშკების რიგიც
თითქოს ივეწყვეს წარსულ სევდას, წარსულ ვაებას
და ვხედებით მაშინ: ჭეშმარიტად ეს არის იგი,
ვინც ერთადერთმა მიაღწია აქ უკვდავებას.

მოდის მზესავით „ვინმე მესხად“ ცნობილი კაცი,
გადადის შუქი მთიდან მთაზე გაუთავებლივ:
დიდ მესხს დიდებამ ვინც დაორგუნა სიკვდილი
მკაცრი, —
უამთა წინაშე ქედუბრელად დგას რუსთაველი!..

თარგმანი შ. ამირსულაშვილისა.



ნუ მოსვდებით ამ სამსჯავროზე

ამენი რუსეთის დედაქალაქის ორჯონიკიძის რაიონში არის ერთი ორვალიანი, რომელიც სისხლხორცეულად დაკავშირებულია ბავშვთა სკოლა-აღზრდილთან. ოჯახური აღზრდის სადღეიოო ადგილებით. იგი ცდილობს საზოგადოებრივი ზემოქმედება მოახდინოს იმ მშობლებზე, რომელთა შვილები აკადემიურად ჩამორჩებიან. არღვევენ დისციპლინას, შემჩნეული არიან ხულიგნურ მოქმედებაში, აწარმოებენ დანაშაულს. მას საზოგადოებრიობამ ბელთა ღირსების სამსჯავროო უწოდა. იგი ... წლის წინათ ჩამოყალიბდა და მაშინ ... ადერთი იყო ჩვენს ქვეყანაში.

ეთილშობილური და მისაბაძია სამსჯავროს მუშაობა. მას გამოსწორებული ... ... ლმან ქურდობასა და ხულიგნობაში, ... ციპლინობაში შემჩნეული, აკადემიურად ... ჩენილი რამდენიმე ბავშვი. მშობლების ... უმეთვალყურეოდ მიტოვებული ბევრი ... ვი მისი შემწეობით ასცდა ქუჩისა და ... ვიგის ზეგავლენას. ახლა რამდენი მოდი მოეწყო სამუშაოზე, რამდენი ოჯახი ... ინეს უსაფუძვლო დანგრევას...

... ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტ... და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ... ამ მიღებული დადგენილება საშუალო ზო... ... ბაგანმანათლებლობო სკოლის მუშაობის შემ... ... ბი ბაუმბჯესების ღონისძიებათა შესახებ ... ... ა უფრო მტკიცედ. ვიდრე ოდესმე, ამახვი... ... ყურადღებას ახალგაზრდობის, კერძოდ ... ... ავლეების აღზრდაში ოჯახისა და სკოლ... ... ასუხისმგებლობაზე.

კომუნისტი

მე-3 გვერდი. პარასკევი, 25 ნოემბერი, 1966 წ.

აი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი შეკრებილან მშობლები, პედაგოგები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის მუშაკები. ისინი მოგიდნენ, რათა მოისმინონ მშობლთა ღირსების სამსჯავროს ანგარიში და დიდი სკა-ბაასი გამართონ სწავლა-აღზრდისა და ბავშვთა მეთვალყურეობის საკითხებზე. დარბაზში ჭალები—დედები სჭარბობენ. ამ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ბევრ მამაკაცს — მამას ბავშვის სწავლა-აღზრდის ბედი ჯერ კიდევ მარტო დედებისათვის აქვს მინდობილი.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები, საქართველოს კპ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველი მდივანი ა. კარანაძე, მშობელთა ღირსების სამსჯავროს თავმჯდომარე ა. ფარულავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. ვეკუა, რუსპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, მპ-ე სამუალო სკოლის პედაგოგი მ. ახჯაფარიძე, თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის დირექტორი პ. ვაშაკიძე, გაზეთ „სასალხო განათლების“ რედაქტორი ნ. შველიძე, საზოგადოებრივი საბჭოს წარმომადგენელი თ. კლიმიაშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი, პროფესორი ი. ციციშვილი ლაპარაკობენ იმაზე, რომ ბავშვის სწავლა-აღზრდა უმთავრესი ამოცანაა და მისი დადგენილად გადაჭრა იმისი გარანტიაა, რომ გვეზრდებოდეს შესანიშნავი თაობა. ჯანღონით სავსე, ცოდნის შეძენას მოწყურებული მზრომელი, სამშობლოსა და ხალხისათვის უსაზღვროდ ერთგული. კომუნიზმის მშენებელი ადამიანი, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში უდიდესი როლი აკისრია სკოლასა და ოჯახს.

მოსწავლეთა სწავლა-აღზრდა ბევრგან სკოლასა და ოჯახში ორგანულად არის შერწყმული. ერთიანი პროგრესია და ერთმანეთს განაპირობებს. მაგრამ რამდენადაც გარკვეულია სკოლაში ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანები, იმდენად, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველა ოჯახში მოზოდების სიმაღლეზე ვერ არის დაყენებული ეს საკითხი. ბევრ მშობელს არა აქვს პედაგოგიური კულტურა და ა

თუ თბილისში ვავშვაძის პროსპექტზე ჩაის სახლში ყოფილხართ, უეჭველია ყურადღებას მიაქცევდით თეთრხალათიან გოგონებს — სადეგუსტაციო დარბაზის ლაბორანტებს.

ისინი აყენებენ ჩინებულ ქართულ ჩაის, რომელმაც ასე გაუთქვა სახელი რესპუბლიკაში პირველ ჩაის სახლს.

სურათზე: ჩაის სახლის სადეგუსტაციო დარბაზის ლაბორანტები — კომკავშირელები (მარჯვნიდან მარცხნივ) თინა კადანაშვილი, ანა ვასიაკინა, ლილი აკულიანი, თამარ კობახიძე და ლიდა აკულიანი.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲙᲠᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ მიკროსკოპის საერთაშორისო ფედერაცია აერთიანებს 38 ქვეყნის 10 ათასზე მეტ სპეციალისტს. ფედერაციის საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს მისი გენერალური ასამბლეა 50 წევრით, რომელიც ირჩევს კომიტეტს 7 კაცის შემადგენლობით 4 წლის ვადით. ამჟამად ფედერაციის პრეზიდენტია პროფესორი ნობურო ხიბაში (იაპონია), ხოლო გენერალური მდივანი პროფესორი ლე-პული (პოლანდია). საბჭოთა კავშირიდან გენერალური ასამბლეის წევრებად წარდგენილი არიან პროფესორი გ. სპივაკი (მოსკოვი), ნ. კისელიოვი (მოსკოვი), ი. ტოკინი (ლენინგრადი) და ბ. მიქელაძე (თბილისი), რომლებიც მონაწილეობდნენ მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში ელექტრონული მიკროსკოპის მე-6 საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. კონგრესი მიმდინარეობდა ქ. კიოტოში. — ჩვენმოთ ვბეჭდავთ კონგრესის მონაწილის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის არჩილ მიქელაძის საუბარს ჩვენს კორესპონდენტთან.

უკანასკნელ პერიოდში იაპონიაში მრავალი საერთაშორისო კონგრესი გაიმართა. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში აქ ჩატარდა ოთხი საერთაშორისო კონგრესი: წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების, ელექტრონული მიკროსკოპის, ნახევარგამტარებისა და ავთვისებიანი სიმსივნეების (კერძოდ კიბოს) საკითხებზე. უკანასკნელი კონგრესი ჩატარდა გამოჩენილი იაპონელი მეცნიერის ტაზაკის ინსტიტუტში ქ. ტოკიოში, რომელიც ცნობილია იაპონიაში როგორც „კიბოს ცენტრი“.

ქ. კიოტო იაპონიის მეორე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენს. აქ თავმოყრილია უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა უმრავლესობა. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ სწორედ ქ. კიოტოში აგებულია კონგრესების სპეციალური შენობა. მისი მშენებლობა დამთავრდა მიმდინარე წლის ივლისში. იგი რომ ჩვენი კონგრესი იყო პირველი, რომელიც ამ არაჩვეულებრივი შენედულების შენობაში ჩატარდა, ის წარმოადგენს უძველეს ბუდისტურ, ერთგვნელი და ულტრათანამედროვე არქიტექტურული ელემენტების შერწყმას, ელექტრონიკისა და ნახევარგამტარების ტექნიკა, რომლის ნაწარმი შეადგენს ქვეყნის მნიშვნელოვან ექსპორტს, იერძნობა ყველგან — შენობებში თუ ტრანსპორტზე.

ათასზე მეტი მოხსენება — ასეთი იყო კონგრესის პროგრამა. ცალკე სექციური სხდომები დათმობილი ჰქონდა მოხსენებებს, როგორც არაბიოლოგიურ, ისე ბიოლოგიურ პრობლემებს. უკანასკნელიდან აღსანიშნავია: ავტორადიოგრაფიული და იმუნოელექტრონული მიკროსკოპია, ციტოქიმია, ბაქტერიები და ვირუსები, მათი ცილოვანი ნივთიერებები, სიმსივნეების ვირუსები. მიკროორგანიზმები, ალკოგები, ფიტოპათოლოგია, მცენარეული უჯრედი, ჰელმუმური, მემბრანები, პლასტიდები, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები, საჭმლის მომნელებელი და სასუნთქი ორგანოები, განსაკუთრებით ღვიძლი და კუჭკუნა ჯირკვალი, კუნთის შენება, სისხლის ბურთულები.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ თავისა და ზურგის ტვინის, აგრეთვე თვალის ბადურის ელექტრონულ-მიკროსკოპიულ გამოკვლევას დათმობილი ჰქონდა ყველაზე მეტი სექციური სხდომა. ცენტრალური ნერვული სისტემის ნატიფი სტრუქტურის საკითხები უკანასკნელი წლების მანძილზე მკვლევართა დიდი უმრავლესობის სწრაფად მზარდ და დიდ ინტერესს იწვევენ.

ცენტრალური ნერვული სისტემის შესწავლაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, მრავალი საკითხი, რომელიც შეეხება უმაღლეს ნერვული თუ ფსიქონერვული მოქმედების არსს, ჯერ კიდევ ამოუხსნელია. ნერვული სისტემის ძირითადი პროცესების აგზნებისა და შეკავების პროცესების, დაწვრილებითი ფიზიოლოგიური ანალიზის არსებობის დროს ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცოდით თავის ტვინის რული და თეთრი ნივთიერების ურთიერთობა. ახლა ბრძოლა მიმდინარეობს მეცნიერ-ბიოლოგთა ერთ ნაწილსა და ელექტრონულ-ფიზიკოსთა ერთ ნაწილს შორის. ეს ბრძოლა ეხება ტვინის ელექტრული ბიოპოტენციალების ბუნებას, ანუ ელექტროენცეფალოგრამის ბუნებას